2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

კანდიდატების შერჩევა ხორციელდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების გამოყენებით თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

4. შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტები:

- აკადემიური მოსწრება (0-30)
- მოტივაცია (0-30)
- მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო კურსების თანხვედრა (ბაკალავრებისა და მაგისტრების შემთხვევაში)/სამუშაო გეგმა (დოქტორანტების შემთხვევაში) (0-20)
- ენის ცოდნის დონე (0-20)

აკადემიური პერსონალი:

- მობილობის შედეგი (0-20)
- სამუშაო გეგმა (0-30)
- მოტივაცია (0-30)
- ენის ცოდნის დონე (0-20)

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.